ხელშეკრულება N 20-281220-01

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.გარდაბანი 28. 12. 2020 წელი

შპს **„გარდაბნის თბოსადგური“** (შემდგომში - „**შემსყიდველი**“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ჯაბა ხმალაძის** სახით და **შპს „I GPS ოპერატორი“** (შემდგომში - „**მიმწოდებელი**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ნოზაძის სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც „**მხარეები**“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

6. „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის ბალანსზე არსებულ 3 ავტობუსზე GPS მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“) სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV 63712710).

2. „მომსახურების“ დასახელება, აღწერილობა, რაოდენობა და ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. GPS მოწყობილობები წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას და შემსყიდველს გადაეცემა ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 900 (ცხრაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2. ერთ ავტობუსზე ერთი თვის ღირებულებაა 25 (ოცდახუთი) ლარი.

2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშელკრულების დანართი N1-ით და დანართი N2-ით განსაზღვრული მომსახურების გაწევა **2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**, დანართი 1-ის შესაბამისად.

ბ) შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, საკუთარი ძალებითა და სახსრებით აღმოფხვრას მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზი და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული შეუსაბამობები , იმ შემთხვევაში თუ ზემოთჩამოთვლილი დაკავშირებულია მიმწოდებლის ბრალთან ან/და დაკავშირებულია პროგრამულ უზრუნველყოფასთან.

გ) იმ შემთხვევაში თუ ხარვეზი დაკავშირებულია ავტოსატრანპორტო საშუალების გაუმართაობასთან, შემსყიდველის დაუდევრობასთან ან ტექნიკის განზრახ დაზიანებასთან, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს ზემოაღნიშნული ნაკლი, თუ შემსყიდველი განაცხადებს თანხმობას შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

დ) უზრუნველყოს GPS მონიტორინგის სისტემის (შემდგომში “სისტემა”) გამართული მუშაობის დაწყება, რისთვისაც მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს საიტის მისამართი, პირველადი საიდენტიფიკაციო სახელები და ასევე, უზრუნველყოს შესაბამისი სერვერის შეუფერხებელი მუშაობა.

ე) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაარეგისტრიროს იგი როგორც მომხმარებელი შემსყიდველის მიერ ტექნიკაზე დაინსტალირებული მოწყობილობების სისტემურ რეჟიმში მუშაობის კონტროლის მიზნით;

ვ) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დალუქული კონვერტით გადასცეს დამკვეთს მომხმარებლის პირველადი საიდენტიფიკაციო სახელი და პაროლი, ასევე ჩაუტაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესის შესახებ, პროგრამის სრულყოფილად მოხმარებაზე;

ზ) უზრუნველყოს პროგრამის, სერვერის და საიტის შეუფერხებელი მუშაობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში;

თ) უზრუნველყოს შემსყიდველი უწყვეტი და ხარისხიანი მომსახურებით.

ი) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

კ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში;

ლ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაიხადოს მომსახურებისა და მოწყობილობების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

ბ) საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს ცვლილების თაობაზე.

გ) უზრუნველყოს ტექნიკის ელექტროსისტემის ტექნიკური გამართულობა.

დ) თბილისის ტერიტორიაზე მონტაჟის/დემონტაჟის სურვილის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია უზუნველყოს ტექნიკის მიყვანა შემდეგ მისამართებიდან ერთ-ერთზე: ქ.თბილისი, ქიზიყის 7ა; ქ,თბილისი, წერეთლის #140

ე) უზრუნველყოს GPS მონიტორინგის სისტემის (შემდგომში "სისტემა") გამართული მუშაობი

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ვ) უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით

3. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (შემსყიდველის ელ.ფოსტა - m.saratovi@gardabanitpp.ge მიმწოდებლის ელ.ფოსტა -info@geogps.ge)

5. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ყოველთვიურად, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: შპს „გარდაბნის თბოსადგურის" ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი-დავით შარაშენიძე.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

2. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული მომსახურების მიღებაზე.

6. მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მესამე პირის (GSM ოპერატორი, ინტერნეტ პროვაიდერი) მიზეზით შესაძლებელია შემსყიდველის ვებ-პროგრამაზე დაშვების შეზღუდვა თვეში მაქსიმუმ 20 (ოცი) საათი. ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);

2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;

4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

2. მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში თუ:

ა) მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის, 2021 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 1 მარტის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „გარდაბნის თბოსადგური“	**შპს „I GPS ოპერატორი”**
მის: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2ბ	მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის ქ. # 86
ს/კ: 404428071	ელ.ფოსტა: info@geogps.ge
ტელ:995 32 299-1201	ს.ს. "თიბისი ბანკი” TBCBGE22
	GE16TB7050436080100002
	ს/კ 404920289
	ტელ: 598585152
LLC Gardabani TPP Digitally signed by LLC Gardabani TPP Date: 2020.12.29 11:33:14 +04'00'	I GPS OPERATOR LTD Digitally signed by I GPS OPERATOR LTD Date: 2020.12.28 16:23:53 +04'00'

დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	აღწერილობა, სპეციფიკაცია	რაოდენობა (თვე)	ყოველთვიური ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	GPS მოწყობილობის მომსახურების შესყიდვა	ავტობუსზე (HYUNDAI COUNTY, სახ.ნომერი OO780GG) GPS მოწყობილობის მონტაჟი, პროგრამული უზრუნველყოფა, მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობა, რაც გულისხმობს გადაადგილების მონიტორინგის განხორციელებას	12 თვე (2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი)	25.00	300.00
2		ავტობუსზე (HYUNDAI COUNTY CC280OO) GPS მოწყობილობის მონტაჟი, პროგრამული უზრუნველყოფა, მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობა, რაც გულისხმობს გადაადგილების მონიტორინგის განხორციელებას	12 თვე (2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი)	25.00	300.00
3		ავტობუსზე (ANKAI WW370WO) GPS მოწყობილობის მონტაჟი, პროგრამული უზრუნველყოფა, მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობა, რაც გულისხმობს გადაადგილების მონიტორინგის განხორციელებას	12 თვე (2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი)	25.00	300.00

ჯამური ღირებულება 900.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შემსყიდველი

შპს „გარდაბნის თბოსადგური“
მის: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2ბ
ს/კ: 404428071
ტელ:995 32 299-1201

მიმწოდებელი

შპს „I GPS ოპერატორი”
მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის ქ. # 86
ელ.ფოსტა: info@geogps.ge
ს.ს. "თიბისი ბანკი” TBCBGE22
GE16TB7050436080100002
ს/კ 404920289
ტელ: 598585152

დანართი N2

მომსახურების გაწევის ტექნიკური დავალება

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სისტემის მუშაობის პრინციპია შემსყიდველის მიერ მისი ავტომანქანების მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება დამონტაჟებული მოწყობილობით „ონლაინ“ რეჟიმში, ასევე ამგვარი ტექნიკის გადაადგილების ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღება.
2. სისტემის გამართული მუშაობა, რაც შემსყიდველს შესაძლებლობას მისცემს აღმოაჩინოს ტექნიკა.
3. თითოეული ერთეული ტექნიკის მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში განვლილი მანძილის, სიჩქარის, გაჩერების, დგომის დროის, მარშრუტის შესახებ ინფორმაციის სერვერზე განთავსება;
4. თუ დაწესებულია სიჩქარის შეზღუდვა, მოძრაობის ზონირება – მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია ამ პარამეტრების დარღვევის თაობაზე, პარკის მონიტორინგი პირდაპირ ეთერში – ერთი ან რამოდენიმე ერთეული ტექნიკის ადგილმდებარება მოცემული მომენტისათვის;
5. ტექნიკის მონიტორინგი, სპეციალური კოდით ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი ადგილიდან;
6. სერვერზე ავტომანქანების ისტორიის განთავსება განვლილი მანძილის, დგომის და მოძრაობის დროის, სიჩქარის და ა. შ. შესახებ;
7. კონფიდენციალობა - მიაწოდოს დამკვეთთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ შემსყიდველის უფლებამოსილ პირებს.
8. მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ შეინახოს და შემსყიდველისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მომსახურების გაწევის პერიოდში მიღებული ყველა ინფორმაცია 1 წლის განმავლობაში .
9. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ტექნიკური კონსულტაცია მონიტორინგის სისტემიდან სატრანპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის დამოუკიდებლად ამოღებასა და დაარქივებასთან დაკავშირებით;

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „გარდაბნის თბოსადგური“	**შპს „I GPS ოპერატორი”**
მის: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2ბ	მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის ქ. # 86
ს/კ: 404428071	ელ.ფოსტა: info@geogps.ge
ტელ:995 32 299-1201	ს.ს. "თიბისი ბანკი” TBCBGE22
	GE16TB7050436080100002
	ს/კ 404920289
	ტელ: 598585152

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გარდაბანი 28 დეკემბერი 2020 წელი

ხელშეკრულება N 20-281220-01

ვადასტურებთ, რომ შპს "I GPS ოპერატორის" მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ჯაბა ხმალაძე _____
გენერალური დირექტორი

დავით შარაშენიძე _____
ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კანდელაკი _____
ფინანსური დირექტორი

მარიკა კიკნაძე _____
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ნათია ღლონტი _____
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ვახტანგ ზარნაძე _____
იურიდიული სამსახურის უფროსი

მიხეილ სარატოვი _____
ლოგისტიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი